

გამტკიცებ

29.06.2009 წ.

რექტორი /ნ. არდამელია/

ხარისხის მართვის სამსახურის

ხელმძღვანელი: /ნ. ჩხარტიშვილი/

სოხუმის პროფესორ აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

სამართლის მიმართულება

ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა
სამართალმცოდნეობა

სპეციალიზაცია: — სისხლის სამართალი

Master Programme

Criminal Law

Specialization: Criminal Law

2009 წ.

პროგრამის ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი

ირაკლი შენგელია

ვარლამიშვილის ქუჩა №29

ქუთაისი, საქართველო

ტელეფონი: პირადი 899 49 98 98

ბინა 4 60 60

სამსახური 4 39 37

დაბადების თარიღი: 2.11.1975

განათლება და სამეცნიერო ხარისხი: უმაღლესი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სრული პროფესორი .

სამუშაო ადგილი: სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების რაოდენობა: 6, 1 მონოგრაფია.

კონტაქტები: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2001წ.)

სამეცნიერო ინტერესების სფერო: სისხლის სამართალი

ენები სამეცნიერო მუშაობისათვის და საკონტაქტოდ: ქართული, რუსული.

პროგრამის შესრულებას უზრუნველყოფს: სრული პროფესორი
ირაკლი შენგელია,

პროგრამის არსი

პროგრამის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თავისი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებით წარმოადგენს რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის ანალოგიის მიხედვით მსგავსი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (www.tsu.ge);

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება სამართლის მაგისტრის (სპეციალობა: სისხლის სამართალი) აკადემიური ხარისხი

პროგრამის მიზანი და ამოცანები

შემოთავაზებული პროგრამის მიზანია მაგისტრის მომზადება სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სპეციალობით. შედარებითი სისხლის სამართლის, ევროპის სისხლის სამართლის და სხვა თეორიული კომპონენტებით. მოხდება მათი ცოდნის გაღრმავება; მაგისტრები შეისწავლიან აგრეთვე საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, სისხლის სამართლის ფილოსოფიას. გაეცნობიან დაცვის ხელოვნებასა და სასამართლო პროცესის ორგანიზაციას, პროფესიული და ინტელექტუალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, გადაწყვეტილებისათვის მასალების მოძიებასა და განზოგადების, სწორად ფორმულირებისა და დასაბუთების ჩვევას. პრაქტიკულ კომპონენტებში გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლებრივი სასამართლო პროცესის იმიტაცია, გამომძიების სტადიაზე ადვოკატის ჩართვის მეთოდოლოგია.

პროფესიულ პრაქტიკას გაივლიან ზესტაფონის საქალაქო სასამართლოში, რეგიონისა და ქალაქის პროკურატურაში.

მოსალოდნელი შედეგები:

სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარს (სისხლის სამართალში სტატიის მომზადება). იგი ამზადებს სპეციალისტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, რასაც განაპირობებს პრობლემის გადაჭრის, ცოდნისა და მოცემულ სიტუაციასთან ინტეგრირების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის, ინფორმაციული ბაზით დაგეგმვის ორგანიზაციისა და ინტერნეტ-გვერდებით

სარგებლობის უნარ-ჩვევების ფლობა, აგრეთვე განსხვავებულ გარემო პირობებში ადაპტირება, რაც მათ პროფესიული საქმიანობის კომპეტენტურად წარმართვაში დაეხმარება.

დასაქმების სფერო:

სპეციალიზდებიან სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, პროკურატურის ორგანოებში, ქალაქისა და სააპელაციო სასამართლოში შესაბამისი პროფილის მიხედვით, სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

შემოთავაზებული სისხლის სამართლის სპეციალიზირებულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. ბაკალავრის ხარისხი სამართალმცოდნეობაში;
2. ბაკალავრიატში სწავლების დროს საშუალო აკადემიური მოსწრების მინიმალური ზღვარი – 4;
3. წერითი გამოცდის ჩაბარება მოცემული სპეციალიზაციის მიხედვით შედგენილი საკითხებით (იხ. ნიმუში);
4. უცხო ენების ფლობა.

წერითი გამოცდის ცალკეული ეტაპის შეფასების წესი ასეთია:

1. ინფორმაციულობა (ცოდნის დონე) და აკადემიურობა ფასდება 100 ქულიან სკალაზე (წერითი ნაშრომის საბოლოო შეფასების 40%);
2. არგუმენტირებულობა ფასდება 100 ქულიან სკალაზე (წერითი ნაშრომის საბოლოო შეფასების 40%);
3. წერის კულტურა (სტილისტურად რამდენად გამართულია ნაშრომი) ფასდება 100 ქულიან სკალაზე (წერითი ნაშრომის საბოლოო შეფასების 20%).

მაგალითად, თუ ბაკალავრმა ინფორმაციულობაში და აკადემიურობაში დაიმსახურა 80 ქულა, არგუმენტირებულობაში 70 ქულა, ხოლო წერის კულტურაში 80 ქულა, მისი შედეგი იქნება: $(40*80) + (40*70) + (20*80) : 100=76\%$

ამრიგად, ბაკალავრის საბოლოო შეფასება იქნება 76%, რაც ეკვივალენტურია შეფასებისა (C) – კარგი.

შენიშვნა: საბოლოო შეფასებათა განმარტება იხილეთ ქვემოთ.

სწავლების ფორმატი:

ლექცია, სემინარი, სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი), საკურსო და სამაგისტრო შრომები, პროფესიული პრაქტიკა.

მაგისტრის აკადემიური მოსწრების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

I შუალედური შემოწმება – 25%

II შუალედური შემოწმება – 25%

სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) – 10%

ფინალური გამოცდა – 40%

საგანი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მაგისტრანტის საბოლოო შეფასება მეტია 51-ზე.

საბოლოო შეფასებები განიმარტოს შემდეგნაირად:

91-100 ქულა – (A) ფრიადი; 81-90 ქულა – (B) ძალიან კარგი; 71-80 ქულა – (C) კარგი; 61-70 ქულა – (D) დამაკმაყოფილებელი; 51-60 ქულა – (E) საკმარისი; 41-50 ქულა – (FX) ვერ ჩააბარა; 41-ზე ნაკლები – (F) ჩაიჭრა.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

სისხლის სამართალი

თეორიული კომპონენტები

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	შედარებითი სისხლის სამართალი	სავალდებულო	5	5			
2	ევროპული სისხლის სამართალი	სავალდებულო	5	5			
3	საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	სავალდებულო	5	5			
4	სისხლის სამართლის ფილოსოფია	სავალდებულო	5	5			

5	ნარკოტიკული დანაშაული	სავალდებულო	5		5		
6	სახელმწიფო დანაშაული	სავალდებულო	5		5		
7	სამოსამართლეო სამართალი	სავალდებულო	5			5	
8	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	სავალდებულო	5			5	
9	დაცვის ხელოვნება	სავალდებულო	5			5	
10	სასამართლო პროცესის ორგანიზაცია	სავალდებულო	5			5	
11	უცხო ენა	სავალდებულო	15	5	5	5	
12	საკურსო ნაშრომი	სავალდებულო	10			10	
13	პრაქტიკული	სავალდებულო		5	5	5	30

პრაქტიკული კომპონენტები

14	სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია სამეცნიერო ლიტერატურის შემუშავება	სავალდებულო	5	5			
15	სასამართლო დარბაზში მუშაობა	სავალდებულო	5		5		
16	საადვოკატო საქმიანობა	სავალდებულო	5			5	
	სულ:		120	30	30	30	30

შენიშვნა: I და III სემესტრში ასარჩევია მხოლოდ ერთი 5 კრედიტიანი პრაქტიკული კომპონენტი.

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია. აკადემიური წლის განმავლობაში – 60, ხოლო სემესტრის განმავლობაში – 30 კრედიტი.

1 ECTS კრედიტი 25 საათი. კრედიტების რაოდენობის გამოანგარიშება ხდება მაგისტრის მიერ ამა თუ იმ სასწავლო კურსის მოსამზადებლად დახარჯული დროის ჯამური მაჩვენებლიდან და არ არის დამოკიდებული მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კურსის შესასწავლად სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ აკადემიურ საათებზე. ასე მაგალითად:

სალექციო-სასემინარო მუშაობა – 39 საათი.

დამოუკიდებელი მუშაობა – 24 საათი.

კონსულტაციები პროფესორთან – 12 საათი.

გამოცდა – 50 საათი.

სულ – 125 საათი.

კრედიტი – $125 : 25 = 5$ ECTS კრედიტს

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება სამართლის მიმართულების დეპარტამენტში, როგორც პროფესორთან ინდივიდუალური ვიზით, ისე დეპარტამენტის კომპიუტერული ბაზის გამოყენებით.

საგნების ანოტაციები:

შედარებითი სისხლის სამართალი

კურსის მიზანია მაგისტრანტს შეასწავლოს თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემების ზოგადი სურათი. შედარებითი სისხლის სამართალი შედარებითი სამართლის ერთ-ერთი განშტოებაა. შედარებითი სისხლის სამართალი მთლიანად მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართალს. მარკ ანსული წერდა: „შედარებითი სსამართლის საფუძველია ორ ან რამოდენიმე ნაციონალურ სამართალს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების კონსტანტეცია“ და უმატებდა, რომ შედარებითი სამართალი, პირველ ყოვლისა, „შედარების პროცესია.“

ევროპის სისხლის სამართალი

კონტინენტური ევროპა, რომანულ-გერმანული სისტემის გული, სისხლის სამართლის კონდიფიკაციის აკვანია. კურსის მიზანია გაარკვიოს თუ როდის შეიქმნა პირველი რეპრესიული კოდექსები. XIX საუკუნიდან საკონდიფიკაციო მოძრაობა ძალას იკრებს. მთელს რომანულ-გერმანულ სამყაროში მიღებულ იქნა კოდექსები, რომელთა ტექსტები მოიცავს ყველა ძირითად პრინციპებს, დაკავშირებულს მატერიალურ სამართალთან. განიხილება ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები.

საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

მაგისტრანტი საგნის განხილვისას შეეხება სასამართლო სისტემასა და მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად პრინციპებს. სახელმწიფოთა შეთანხმებით შეიძლება შეიქმნას სპეციალური საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო. საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მზარდი სამართლებრივი დარგია, რომელიც მეტად მგრძნობიარეა

საერთაშორისო ასპარეზზე არსებული ყველა მოვლენისადმი, რომელიც არღვევს თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის საწყისებს, ემუქრება მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას.

სისხლის სამართლის ფილოსოფია

სისხლის სამართალს მჭიდროდ უკავშირდება სისხლის სამართლის ფილოსოფია. სასჯელის თეორია დიდწილად ეფუძნება ფილოსოფიურ იდეებს, არსებობს არჩევანი დაშინებას, გამორიცხვასა და გამოსწორებას შორის. დანაშაულის რეციდივის დასჯა დამოკიდებულია ფილოსოფიურ არჩევანზე მორალურ პასუხისმგებლობასა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შორის. მაგისტრები გაიდრმაგებენ ცოდნას თუ რა ყურადღება ექცევა კანონმდებელთა ფილოსოფიურ არჩევანს. მორალი და რელიგია, თავის მხრივ ხსნის გარკვეულ დანაშაულთა კატეგორიის არსებობასა ან მათ უკუგდებას.

შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი

შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი მაგისტრანტებისათვის წარმოდგენილი იქნება ორი ფორმით, საერთო სამართალში თავისი ვიწრო მნიშვნელობით აღნიშნავს მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის დამამთავრებელ ფაზას, ანუ სასამართლოს სხდომას და მის შედეგებს. რომანულ-გერმანულ სისტემაში პროცესს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს -- იგი მოიცავს ყველა მოსამზადებელ მოქმედებას, გამოძიების დასაწყისში რეალიზებიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

დაცვის ხელოვნება

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პროცესის ყველა მონაწილე სარგებლობს თანასწორი უფლებებით. მაგისტრანტები განიხილავენ დაცვის ხელოვნების თავისებურებანს. დაცვა, როგორც პროცესის მხარე, აღჭურვილია ფართო უფლებებით, იგი მოწოდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს: მტკიცებულებათა გამოკვლევაში; პროცესის მონაწილეთა დაკითხვაში; გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სასამართლო განხილვის პროცესში წამოჭრილ საკითხებზე; დაიცვას განსასჯელის უფლებები და კანონიერი ინტერესები; უზრუნველყოს სისხლის სამართლის საქმეთა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, ჭეშმარიტების დადგენა.

სასამართლო პროცესის ორგანიზაცია

სისხლის სამართლის პროცესში, სასამართლო განხილვა სრულებით მართებულადაა მიჩნეული სისხლის სამართლის პროცესის ძირითად და უმნიშვნელოვანეს სტადიად.

მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების ზუსტად განხორციელების საქმეში დიდ როლს თამაშობს სასამართლო განხილვის სწორი ორგანიზება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო პროცესის ჩატარების კულტურას, ეთიკური ნორმების გამოყენებას და კანონიერების დაცვას, მოქალაქეებს უნდა განუმტკიცდეს სამართლიანობის რწმენა და კანონისადმი პატივისცემა. სასამართლო სხდომას, რომელიც ტარდება ღიად, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არა მართო გამოვლენილ იქნეს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები, არამედ შემუშავებული იქნეს მათი აღმომფხვრელი ღონისძიებები.

ნარკოტიკული დანაშაული

მაგისტრანტები გაიღრმავებენ თავის ცოდნაში ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ, რადგან ასეთმა დანაშაულმა უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და, ამდენად, მის წინააღმდეგ ბრძოლა გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს. ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ. ეს კონვენციებია: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“, 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“. ამ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკუსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“.

სახელმწიფო დანაშაული

დემოკრატიის განვითარებამ განაპირობა სისხლის სამართლის კანონით დაცულ ღირებულებათა ახალი იერარქიის ჩამოყალიბება -- ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა, მისი სუვერენიტეტის, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გადარჩენა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის უპირველესი ამოცანა არ არის. სისხლის

სამართლის ნორმები, რომლებიც სახელმწიფო დანაშაულისათვის ადგენენ პასუხისმგებლობას, ასახავენ როგორც ჩვენი ქვეყნის წარსულ გამოცდილებას, ასევე საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების მდიდარ გამოცდილებას ამგვარ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

ბიბლიოგრაფია

სისხლის სამართალში:

1. ვ. ბასილაია - დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 2003.
2. ი. დვალაძე - მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №2
3. ნ. თოდუა - სიახლე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 №2.
4. ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე - ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004.
5. ლაშა-გიორგი კუტალია - ბრალის ნორმატიული მოდელი, თბ., 1999
6. გ. ლობჯანიძე - ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტი თბ., 2006.
7. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი - პასუხისმგებლობა ეკონომიური დანაშაულისათვის. თბ., 1999.
8. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი - დანაშაული სახელმწიფო და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. თბ., 2002.
9. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი - პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის, თბ., 2000.
10. გ. მამულაშვილი - სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის „მართლმსაჯულება და კანონი“ 2006, №2
11. გ. ნაჭყებია - სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. თბ., 1997.
12. გ. ნაჭყებია - სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. თბ., 1998.
13. გ. ნაჭყებია - ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის პრობლემა „მართლმსაჯულება და კანონი“. 2006 №3.
14. გ. ნაჭყებია - ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხებისათვის „მართლმსაჯულება და კანონი“. 2006 №1.
15. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 1) თბ., 2006.
16. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 2) თბ., 2007.
17. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) თბ., 2002.

18. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული) თბ., 2004.
19. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2004.
20. ზ. წულაია - სისხლის სამართლის (კერძო ნაწილი) თბ., 2001.
21. ზ. წულაია - სისხლის სამართლის (კერძო ნაწილი) თბ., 2002.
22. ზ. წულაია - კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი) თბ., 2003.
23. დ. წულაია - ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური პრობლემა, თბ., 2004.
24. ლ. სურგულაძე - კომპიუტერული დანაშაული. თბ., 2003.
25. ჯ. ხეცურიანი - სიკვდილით დასჯა, თბ., 1997.

სისხლის სამართლის პროცესში:

1. ი. აქუბარდია - საქართველოს სასამართლო სისტემა. თბ., 2003. ა. ფალიაშვილის რედაქციით.
2. ი. აქუბარდია - დაცვითი სიტყვის სტრუქტურა და ფორმა „მართლმსაჯულება და კანონი“ 2006. №5
3. ი. აქუბარდია - ეჭვმიტანილის დაცვის უფლება „სამართალი“ 1993, №11-12.
4. ი. ბოხაშვილი - აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2004.
5. ი. გაბისონია - სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002.
6. ი. გაბისონია, ა. ფალიაშვილი - მოკვლევისა და გამოძიების საპროცესო დოკუმენტების ნიმუშები. თბ., 2001.
7. ი. გაბისონია - პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბ., 1998.
8. ი. გაბისონია - აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2003
9. ნ. გაბრიჩიძე - საპროცესო შეთანხმება „სამართალი“, 2004, №5-6
10. რ. გოგშელიძე - პროკურატურის როლი დამოუკიდებელ საზოგადოებაში „სამართალი“ 2002 №9-10
11. ი. გოგშელიძე - სასამართლო ექსპერტიზის სამართლებრივი რეგლამენტაცია. თბ., 1996.
12. რ. გოგშელიძე - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის სრულყოფის საკითხისათვის „მართლმსაჯულება და კანონი“ 2006 №5

13. ნ. კიდმანი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) თბ., 2006
14. ა. კახნიაშვილი – უდანაშაულობის პრეზუმქცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიაზე თბ., 1997
15. პ. კობალაძე – ზოგიერთი მოსაზრება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესახებ „სასამართლო“ 2003 №11-12
16. გ. მეფარიშვილი - სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხთან დაკავშირებით. „მართლმსაჯულება და კანონი“ 2006 №3
17. თ. მელქაძე, ბ. დვალი – სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში წიგნიXI თბ., 2000.
18. გ. მუსესიანი – ეჭვიტანილისა და ბრალდებულის დაცვა სისხლის სამართალწარმოებაში უნდა გახდეს სრულფასოვანი და თანაბარუფლებიანი ფუნქცია „ადამიანი და კონსტიტუცია“ 1999 №1
19. სასამართლო ექსპერტიზა სამართალწარმოებაში თბ., 2003 გ. ჯაოშვილის რედაქციით.
20. სისხლის სამართლის პროცესი 2002 პ. ფალიაშვილის რედაქციით.
21. ი. ტაბუცაძე ი. ტყეშელაშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეულ დებულებათა კომენტარი თბ., 2002
22. ა. ფალიაშვილი – საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები თბ., 2004თავიXIV – ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის ორგანოების ორგანიზაცია და ფუნქციები; თავი XIII- ადვოკატობის ორგანიზაცია და უფლებამოსილება.
23. ა. ფალიაშვილი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2004 №3
24. ა. ფალიაშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის დებულებათა შესახებ „მართლმსაჯულება და კანონი“ 2006 №4
25. ა. ფალიაშვილი - სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ „სამართალი“ 2000 №4-5
26. გ. ჭანტურიძე – დამცველის პროცესუალური თავისებურებანი გამოძიების პროცესში „სამართალი“ 2003 №4-5
27. გ. ჭანტურიძე – დაცვის განხორციელების ზოგიერთი საპროცესო სამართლებრივი ასპექტები „მართლმსაჯულება და კანონი“ 2006 №4

28. მ. ხაჭაპურიძე - სასამართლო გამოძიების გაუქმება ან შეკვეცა, როგორც სისხლის სამართალწარმოების გამარტივების ღონისძიება „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2004 №1.
29. ო. ჯორბენაძე - აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შერჩევის ზოგიერთი პრობლემა „სამართალი“ 2004 №4